შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №32060101/04/01-4

(სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" და შპს" რომპეტროლ საქართველო"-ს შორის 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ №32060101/04/01 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

(CON160000057)

ქ.თბილისი 27 ნოემბერი, 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს შპს "რომპეტროლ საქართველო"(შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ზამანბეკ მირზაინოვის სახით, მხარეთა შორის 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ №32060101/04/01 გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლის დავით ჭიჭინაძეს 2016 წლის 22 ნოემბრის N11358669 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა" შპს „რომპეტროლ საქართველოს" შორის 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ №32060101/04/01; ხელშეკრულება, რომელის საგანია ნავთობ პროდუქციის (ბენზინის) შესყიდვა, რომლის თანხობრივი და მოცულობითი რესურსი ამოიწურა.

მიმდინარე წლის განმავლობაში საწვავის ფასის რეგულარულმა ზრდამ და იმ გარემოებამ, რომ რიგ რაიონებში ვერ მოხერხდა სამშენებლო ზედამხედველთა აყვანა, რამაც საჭირო გახადა მენეჯერების რეგიონებში მიმდინარე სამშენებლო სარებილიტაციო სამუშაოების ინსპექტირების მიზნით მივლინებების რაოდენობის ზრდა.

ზემოაღნისნულმა ფაქტობრივმა მდგომარეობამ განაპირობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწვავის მოცულობისა და თანხობრივი რესურსის ამოწურვა.

შესაბამისად, სააგენტოს სატრანსპორტო საშუალებების საწვავით შეუფერხებლად უზრუნველყოფისათვის, საჭიროა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საორიენტაციო ღირებულების და საწვავის მოცულობის გაზრდა. კერძოდ: ბენზინის რაოდენობა 4 500 ლიტრით ხოლო, ღირებულება 30 000 ლარით.

1 .შევიდეს ცვლილება, მხარეთა შორის 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ №32060101/04/01 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (კონსოლიდერებული ტენდერის № CON160000057) და ხელშეკრულების 3.1 მუხლით განსაზღვრული საორიენტაციო ღირებულების 141900(ასორმოცდაერთი ათას ცხრაასი) ლარის ნაცვლად განისაზღვროს 171900(ასსამოცდათერთმეტი ათას ცხრაასი) ლარით.

2 .შევიდეს ცვლილება, მხარეთა შორის 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ №32060101/04/01 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (კონსოლიდერებული ტენდერის № CON160000057) და ხელშეკრულების 2.2 მუხლით განსაზღვრული საორიენტაციო მოცულობა 80000 (ოთხმოცი ათასი) ლიტრის ნაცვლად განისაზღვროს 84500(ოთხმოცდაოთხი ათას ხუთასი) ლიტრით.

3. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები და პუნქტები დარჩეს უცვლელად.

4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და წარმოადგენს 2016 წლის 22 დეკემბრის გაფორმებულ №32060101/04/01 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს"
დირექტორი:ზვიად როსტომაშვილი

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შპს "რომპეტროლ საქართველოს"
დირექტორი: ზამანბეკ მირზაინოვი

(ხელმოწერა, ბეჭედი)